ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 45/ბ

07 მარტი 2018 წელი

მცხეთა

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, მეორეს მხრივ, შპს „თორმეტი თვე“ შემდგომში „მომწოდებელი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი გოგიაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩასახლებული უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებზე გადასაცემად, 2 ცალი სასურსათო პაკეტის შესყიდვა.

- CPV 03100000 სოფლის მეურნეობის და ბაღჩეულის პროდუქტები - თანხით 19.80 ლარი.
- CPV 03200000 ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული- თანხით 31.00 ლარი.
- CPV 15100000 ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები თანხით - 62.80 ლარი.
- CPV 15300000 ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტები თანხით - 24.20 ლარი
- CPV 15400000 ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები თანხით - 18.90 ლარი.
- CPV 15500000 რძის პროდუქტები თანხით - 31.60 ლარი.
- CPV 15600000 დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები თანხით - 12.00 ლარი.
- CPV 15800000 სხვადასხვა საკვები პროდუქტები თანხით - 37.50 ლარი.
- CPV 24300000 დაფქული მარცვლეული პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები თანხით - 2.20 ლარი.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 08 მარტის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება **240 (ორასორმოცი)** ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 განახორციელოს საქონლის მიწოდება ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით;

4.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს და იცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყოდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს ხელშეკრულებით ნაკისრი ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი დარჩენილი ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური განყოფლების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვლადიმერ ხუბაშვილი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთასხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022
ს/კ 236099789
ტელ: 2512696

მუნიციპალიტეტის მერის
დროებითი მოვალეობის
შემსრულებელი
გივი გიუტაშვილი

მომწოდებელი

შპს,,თორმეტი თვე"
მის: ქ. მცხეთა, კოსტავასქ. №27
სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE 22
ა/ნ GE38BG0000000546715600
ს/კ 436038155
ტელ: 595 77 50 50
დირექტორი

გიორგი გოგიაშვილი

07.03. 2018 წ.

მცხეთა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. (შპს„თორმეტი თვე“ ს/კ 436038155 ხელშეკრულება N45/გ).

მცხეთის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი — გივი გიუტაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური განყოფლების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — ვლადიმერ ხუბაშვილი